

ବୀଜାମୀଳାଙ୍ଗ

ନଂ 11

ବୀଜାମୀଳାଙ୍ଗ

ପ୍ରକାଶମାଲା

1924

ବୋଲିଗାନାମଗଠି

№ 11

ପ୍ରକାଶିତ

ଡାକଖଲେଖଣି

1924

ପୁନଃବ୍ୟାକ:

ଚାଲୁଏହି ଦରିଉସଙ୍ଗେ—ଶିତ୍ୟରୀ ଦରନଶା.

ତିପିଳାନ କୁଦିଷ୍ଠ—ୟମ୍ଭରୀ କୁଦିଷ୍ଠିବି.

ରାଜଦେବ ଗ୍ରେତାମ୍ଭ—ମଧ୍ୟବିନ୍ଦି

କୁଳାଶ ନାଦିରାମ୍ଭ—ଜିନିଜନିନ୍ଦା.

ଗନ୍ଧର୍ଜୁ ଲ୍ଲେଖନିଷ୍ଠ—ବ୍ୟେତ୍ଥି.

୩. ଗାନ୍ଧର୍ଜିନିନ୍ଦାଶ୍ଵେତି—ଶିରମାସ ହିତ୍ୟେରିତିମା.

ଶ୍ରୀରାମାନ କୁରିଦିଗ୍ରା—ମରି ବାରିଥି.

ସେଇବା କଲିଦିଗାଶ୍ଵେତି—ଶିବେରନା ଗଢା-ଜଵାରୀଲିନିଞ୍ଚ୍ଛେ.

୩. ଗାନ୍ଧର୍ଜିନିନ୍ଦାଶ୍ଵେତି—ଶିରିସିରିଅ କୁରିଦିଗ୍ରା.

ଖେଳାଫେରିରି: ଚାଲୁଏହିରାନ ଗାନ୍ଧର୍ଜିନିନ୍ଦାଶ୍ଵେତି.

ზითელი დროშა

(კრებულიდან: „სიცრცეები“)

წითელი დროშა—პროლეტარიატის ხარება—
 რგოლების მსგავსი,
 ცისფერ უფსერულებში დაიარება
 კრემლის სასახლის თავზე.

სიტყვები საოცარი, ახალი, ახალი,
 ერთბაშად მღერიან,
 აჩრდილი მოირის ძველი და მაღალი
 მოსკოვს მოერია!

ნუ თუ ვერ ვიცანი ნაცნობი სახე,—
 უცხოა დღეს!
 ისე ვით ზლაპარში, ჩვენ გადავლიხეთ
 ღრუბელიც, ტყეც!

სალამი თაობას, რომ საუკუნური
 ცეცხლი გააჩალა.
 ვერ მოევლინება ბედი უგუნური
 მას უხეშ ყაჩალად.

ცხოვრებავ! უქებო კიდევ აქამდი,
 ისმოდა გრგვინვა და ოქეში,
 მაგრამ უკვდავებას ღმერთებთან ვსვამდი
 მე—სიცოცხლეში!

ჰკურნავს დალლილობას სასმელი მისანი
 წლების დაქცეულის.
 ჩემი იარები მე ველარ ვიცანი,
 მარჯვეა სხეული!

ვარ ალტაციბული, ვარ დაუყუჩები
 გრიგალი, კოცონი!
 და ახალგაზღობას ტუჩებში ტუჩებით
 მე ახლა გქოცნი!

ვალერი ბრიუსევი

თარგმანი ვ. გაფრინდაშვილის.



ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତ ୫୩୦କେୟାନ

27 ଓଡ଼ିଆ.

ექვსი წელიწადია ვემზადები დაგსწერო ლეჭი
„Dimanche“

ამას ჰქვია ლაფორგის კვირა.
ასეთი უქმური კვირა მაინც არ მახსოვს
ზარები ქალაქშიც არ რეკავენ.
ყველა ტაძარი შეიქნა ფერიული.
ეს ლექსი, რომ ამ დღეს დამწერა,
ნალველი დაიქცეოდა ფოლადივით.
შემიძლია დავიჩემო, რომ სიზარმაცის
ომერთი მაინც ვარ.

თუ ისიც დაემატა, რომ ლოთობა ჩემი მცორე სტიქია—
ჩემზე ეროვნული პოეტი არ ყოფილი საქართველოში.
მე, კოტე მარჯანიშვილი, შალვა დადიანი და დავით ჩხეიძე
ტანტების ცირკში ვართ: კულა გრდანელის იუბილეზე-
ვინ მისცა ამდენი ტემპერამენტი ყარაჩოლელებს!..
საწყალი გრდანელი დგას გაკოტრებულ სოვდაგარივით.
მის წინ მისი ძველი პორტრეტია—
რკინა, ჩამოსხმული ადამიანათ.
პაოლო იაშვილის მაგიერ სიტყვას ამბობს
არბიტრი: „შენ დაუკა ვანუა“.
როგორც თავის მკვლელი რუსთაველზე მოდის კოლლაუ ნადირაძე,
არათ ექნებოთ:

ოპერეტა „მხიარულ ქვრივზე.“
ჩვენ თავის შეკლელთა ორგიას
აკლია ვალერიან გიორინდაშვილი.
თუ ეს არ არის ლექსი,
იყოს ერთი ვარიანტი გაუქმებულ კვირების.
შეძლებ, ალბად, ასეთ ლექსისთვისაც ვერ მოვიცლი.
ყველაფერი წინ მიდის პოეზიის გარდა,
იწყება ლექსის უკუღმა ელექტროჭიკიკაცია.
მე ვარ ამის წინასწარმეტყველი.
იყოს ეს ბიოგრაფია ერთი დღის.
შეიძლო — შიმითი შამჩნევა ეპონია: ტიკიან ტაბიშე.

ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତ

მ დ ა ბ ი მ

„მე ვცხოვრობ ვირივით წყნარათ და შრომით“
 პაოლოსაძემი მიწერილ ბარათიდან.

ჩემი რევოლუციონერობა არავის სჯერა,
 თუმცა 12 წლიდან ვმუშაობ სტამბაში,
 და დღეში ვფიქრობ ასჯერი:
 რატომ ვარ ასეთი უბედური
 და სალახანა.

მე მახსოვს კარგათ:
 როცა ერთხელ ბოქაულმა მამაჩემი გალახა,
 და მე სამაგიერო ვერ გაუბედე—
 (ეს მოგონება სულ აწევს ბარგათ) —
 როცა დედაჩებს ნაეთი არ ჰქონდა ლამფაში
 და მთვარეზე ვკითხულობდი აკავის ლექსებს,
 როცა ფუნაში ნახულ ჭიებს ვაგებდი ანკესებს,
 და მივდიოდი წყალწითელაზე
 რათა კვირას მაინც გვქონოდა ოეგზით ვახშამი.
 ო, დარჩეულ სურვილებს სევდა მითელავს,
 რადგან მამა ჩემი, რომელსაც კიდევ სჯერა ხატის,
 ისევ დახეულ ქალამნებით დაიღი
 და ახრჩოს მევაზშე.

მე აღარ ვფიქრობ ქალებზე, რომლებიც ჰგვანან გაპენტილ ბაშჩებს,
 არც იმ გლეხზე, ციმბირის ჭირმა რომ მოუკლა ცალი ხარი,
 და ლექსების მაგიერ ვსწერ ახალ ამბებს
 (ყველაზე უფრო იოლია ეს ხელობა)

და მიხარია —
 როცა ავტომობილი ვინმეს ქასრისავს,
 ან რომანიულ ნიადაგზე თუ მოხდა შკვლელობა.

მინდა ეიყო ერთი აზრის:
 არ ივყვე ოცნებას ქარიანს
 და მოგვაწრო, შესული ხანში, —
 წვერულვაშიან ვაუებს,
 (ეს ინედი გულს მიუაუებს)

რომლებიც ეხლა სოფელში არიან
 და ბაბუას ეხმარებიან თოხნაში.
 თუმცა სხვა შეხედულების ვარ ცხოვრებაზე,
 და მეზარება ყველა, ვისაც მუცელი აქვს ტიკის,
 მაგრამ რადგან არაფერი შესმის მსოფლიო პოლიტიკის,
 რომელსაც შეიძლება მოცყვეს ახალი ომი, —
 გადავწყვიტე ვიცხოვრო ასე:

ვირივით წყნარათ და შრომით.

რაუდენ გვირაშე.

ჯ ი ღ პ რ ნ დ ა

ასეთი იყო მთვარე მაშინაც,
 ხუთასი წლის წინ, არნოს ნაპირად,
 ოოდესაც ტრფობამ გადაგვაშენა
 და სიკვდილს ხარბად გადაგვაპირა.

ეს იყო ღამე უელვარესი,
 დაგობრული ვნების ტბორებად.
 გადაშენების ნაზი ალერსი
 ახლა ჩემ ხსოვნას ემბორება.

არ იყო სხვა გზა გადასარჩენი;
 ერთად ღაგვაკრა იღბალმა დაღი;
 ჩვენ გვიბარებდა დიდი გამჩენი,
 და ჩვენ გველოდა ციური ბალი.

მზე ემაუსის მიგვინათოდა,
 და ნაზარეთი გვენატრებოდა;
 ანგელოზების ფრთები გვათოვდა,
 და ვარსკვლავები ჩუმათ ჰქონდოდა.

ასეთი იყო მთვარე წარსულში,
 ასეთი იყო გზა დაბრუნების;
 ისევ ის მთვარე ფერგაღასული
 დღეს ცაში ღელავს და იღუნება.

და სხვა მდინარის ცისფერ ნაპირებს
 მოადგებიან ჩვენი ღანდები;
 და ისევ სიკვდილს გადაგვაპირებს
 წარსული ტრფობის მძაფრი ფანდები.

შენი ღიმილი ისევ ის არი,
 და ოვალთა ცქერა დაუხსოვარი.
 მე ვარ ამდგარი მკვდრეთიდ ღაზარი,
 დღეს შენი მონა და შაცხოვარი.

არ არი სხვა გზა გადასარჩენი!
 მოგველის ზეცა თეთრი ბალებით;
 ისევ გვიბარებს წმინდა გამჩენი,
 ისევ სიკვდილით დავიდალებით.

და ძველი გზებით გავყვებით მნათობს
 პილიგრიმები გაფიტრებული:
 ანგელოზების ფრთები დაგვათოვს,
 და ვარსკვლავების სუფთა კრებული.

ქრისტეს ცრემლებით ნაბანი ველი,
 ცა—აღმასებით საესე აუზი:
 და როგორც წინად, დღეს ისევ გველის
 ჩვენ ნაზარეთი და ემაუსი

თამარის ხიდი

შემოდგომების პატიოსნება,
 კეთილშობილი კაცის სახელი.—
 წარსულ დღეებზე ჩუმი ოცნება.
 და ნალვლიანი თვალის გახელა.

დაგვემჯვიდრება სასუფეველი,
 დავიშმახურებთ, ასე შეონია...
 პატარა ამბავს კიდევ მოველი
 და გათავდება ეს აგონია.

მცირე შეცდომებს დაგვამალიებს
 თვე იანვარი თბილი ბუხრებით;
 მხოლოდ ლექსების სატურნალიებს
 გავყვებით მარტი, ცოტა მშუხრები.

მე მიხარია, როდესაც ბედი
 ნაკლული მოვარის ნიშანით მიდის;
 არის ინტიმი:—მალარმეს გედი,
 და იმერეთში თამარის ხიდი.

კოლაუ ნადირაძე

3 ၃ ၇ ၄

(ვეფხი მოკლული დილოში 1922 წელს ნოემბერში)

ვალერიან გაფრინდაშვილს

სარაცინების თესლით ამტკიცარი
 და პამირების ბურში მყვირალი,
 მრატყდი სივრცეს გასაკვირალი,
 პანმონგოლიზმის ბაირახტარი.

ხალიჭატების დასტოვე ტახტი
 და სისხლი მღვრიე ვერსად დასტიე,
 აღბად შენ ყავდი ბრწყინვალე რახტით —
 უკანასკნელი ძველ დინასტიებს.

რომელი უნდა გელეშნა რასა
 და მერამდენე გემტერია რომი,
 როცა დაეშვი დაუდგრომელი
 და მზე გტეხავდა ბარბაროსული.

ვერ გაჰქოთქავდი რომელს ავშარას,
 რომელ გუმბათზე ხმალით დადგები?
 ბერდუჯის წყალზედ წივის ჯავშინი
 გამოქცეული ათაბაგების.

მაგრამ ავია ბედის ტრიალი.
 შენი ვარსკვლავიც ყოფილა მკვდარი,
 ველარ დალაშერე შენ დარიალი.
 სისხლი ზაასხი მსუქან კედარებს.

გადმოვარდნილი წითელი ფაშვი
 შენ აზრაილის შუბზე მბრუნავი,
 ურემზედ ეგდე ვით ქუჩის ბავში
 ასპიტ ლამეში დასახურავი.

და საყვირების ხმები გრგვინავი.
 მემკვიდრის გული ალარა ტოქაეს.
 თესლო! ყველაზე ნაგვირგვინარო,
 გადაგეფარი სიკვდილის ტოგა!

გიორგი ლეონიძე

1922 წ.

ტომას ჩატერთონ

(1752—1770)

პროვინციელის სინაზით ეწვია ლონდონს — ბრისტოლიდან,
თვრამეტი წლის ბავში,
შომავალი თავისმკვლელი და პოეტი,
გენიალური სხემით:
აღედგინა მეთოთხმეტე საუკუნის არ არსებული
პოეტი როულეი,—
თავისი ფანტასტიური შინაპარი-ორეული,
როგორც გრიგოლის ორრუბაქიძე.

უფრო ძნელია გამოგონება პოეტის,
ვიდრე აზნაურის;
პოეტები ძლივს ასალებენ თავის თავს,
როგორც კახპები.

ლონდონის კაჭებმა ნახეს ჭაბუკი—
ესურიალის ბნედით, რომანტიულ შეველიურით.
პსურდა დაუფლებოდა შექსპირის
და დედოფალ ელისაბედის ქალაქს.
სცხვერობდა საეჭვო ოთახებში.
დიასახლისებრა იბრალებდენ როგორც მათხოვარს.
ის დადიოდა ვით უცხოელი და ჯაშუში,
ტემზის ნაპირების ბოგემა,
ლიდ ვიტრინების ჟინიანი მაყურებელი.
ქმნიდა სათაურებს: „ქარის ოპერა“, „წვიმის აპოქეოზი“,
„ნიბელუნგები“.

ერთ ღამეს გამოეცხადა როულეი
და დაემუქრა მიზრაფის ჩონჩხით.
თან დაუტოვა თვითმკვლელობის რუქა.
აპირებდა პროვინციაში დაბრუნებას,
მაგრამ არ ჰქონდა შესაფერი ტანისამოსი.
უკანასკნელად მოიწვია თავის ბინაზე
ლონდონის ნისლები..
კვამლით შემოსილი, როგორც ნერონი-აენობარბი,
ამბობდა ლექსებს.
ენატრებოდა პარაცელზი, ხანდარი, ცირკი,
ბოთლში ამოსული ექლესია,
კარაბადინი.

მან მოიგონა ღამის ადრესი:

ქუჩა—მიზრაფი, დეწერტირი უცნობი სკრიპკის,
 საღაც ჰყიდია და ექანება

დანიის პრინცი—ელსინიორის მეფური მსხვერპლი.

წარმოუდგა მარადისობა, ვით საყურე ბეატრიჩესი,
 როგორც ქარვასლა, საღაც სსნიან ანგელოზები
 ამერიკულ ტიუკებს.

ის კიდევ ერთხელ შეაჩერა
 საყვარელ რითმის გამოქროლებამ.

მაგრამ მოისმის ვესტმინსტერის დროის საყვირი,
 მაგრამ შუალამებ შეასრულა თავისი ცეკვა
 და მოითხოვს აოქანაანის თავს.

ა—გო—ნი —ა!

უკინასქნელი კოშმარების ავი დაღმართი!
 კირიალეისონ!

მას ამტყუნებდენ, როგორც ყალბი ფულის მკეთებელს—
 გარდაიცვალა ჰემიარიტად.

აფთიაქებმა დაიგლოვეს თავისი მსხვერპლი
 და შავ კატაფალკს მიჰყვებოდა ნოსტრადამუსი.

კიდევ არ არის სიმჭონია „ჩატერტონი“,
 მაგრამ იჩება:

მოხდება აჯანყება ორკესტრის,
 რომელიც გამოაცხადებს დირიჟორათ დაღუპულ მგოსანს,
 და საკრავები, გადაქცეული ქიმერებად,
 დაერევიან მოკაზმულ ფილისტერებს.

ხომ შეიძლება დასწვა ლონდონი,
 რადგან იქ თავი მოიწამლა სიმშილისაგან
 ჩატერტონმა?
 ეს იქნებოდა დიდებული შურისძება!

დარჩა მხოლოდ პოეტების კაზინო,
 რომლის საპატიო თავმჯდომარეა
 ტომას ჩატერტონ და მის აჩრდილს
 წელიწადში ერთხელ უჩიგებენ კატა.
 და ვალერიან გაფრინდაშვილი—
 სახელების მარადიორი და პირანეზი
 „პოეტის კარიერაში“ სვამს
 ჩატერტონის საღლეგრძელოს.

ვალერიან გაფრინდაშვილი

გ ა ლ ლ ა ღ ა

(სანდრო ცირკიძეს)

აქ აღარ ისმის ქვეყნის ხმაური,
 სდგას დანგრეული ჩუმი ტაძარი,
 სავსე იღემალ ხავსის ტრაურით.
 აქ თითქო სუნთქვას ეღეაზარი.
 თუ წინად იყო აქ მულლაზარი,
 თუ იყო ცეცხლი, სისხლის ღვრა ხარბი,
 დღეს არის მხოლოდ შავი ნაცარი
 და მე—ვვიანი აენობარბი.

ბევრი რამ არის აქ საცნაური:
 შორი გელათი, ზეცის ფაზარი,
 რიონის ბნელი ქათინაური,
 ხნიერ ქალაქის ძველი ბაზარი
 და ნაქერალა უზარმაზარი,
 აქარის მთების ჭილარი წარბი,
 ჩამავალი მზის უხვი ხანძარი
 და მოღაისე აენობარბი.

ჩამოხეული, ვით აზნაური
 და საოცარი, ვით ღამის ზარი,
 დარღობს ტაძარი ციურ საურით,
 მოსკედვა ღოდი, ვით ცრემლის ცვარი.
 მოიღუშება ციხე დამწვარი.
 ო, სადღაც არის სიცოცხლე ჭარბი,
 არის ხანძარი და მასთან ქარი,
 არის ლორნეტით აენობარბი.

მ ი მ ა რ თ ვ ა

სანდრო! ფითრდება საღამო ჩქარი
 და მოდის ღამე უძველეს შარფით.
 „როდის იქნება ძვირფასი დარი“?
 ვიტყვი მე—რითმის აენობარბი.

ვალერიან გაფრინდაშვილი

*) ეს ლექსი დაწერილია ძველი ფრანგული ბალლადის ფორმით, რომლი-
 თაც სწერდებ ბალლადებს მეთხუთმეტე საუკუნის პოეტები ფრანგულ ვილლონი
 და კარლ ორლეანელი.

ტრისტან კორპიშვილი

თრი პარაზი:

I ღამით.

ხარ ოკეანე და ტალღების შავი გუნდები
 სუსტ ხმაურობით შორდებიან ნაპირს დროებით.
 ჩუმი შრიალით აიშალენ კვლავ კიბოები,
 მაგრამ უკანვე უქველად შენ დაბრუნდები.

ხარ სტრიქი—მხოლოდ ამომშრალი სხვა ჯადოსნებით.
 ეწვია ფარნით დიოგენი წყაროს გალეშილს.
 ანკესებისთვის დაწყევლილი ხარბი მგოსნები
 ეძებენ ჭიებს საკუთარი თავის ქალაში.

შენ ხარ მინდორი. ეშვებიან შავი უვავები
 და დამპალ ძონებს იტაცებენ მეტ დაბრმავებით.
 ჯიბგირებისგან, რომ ელიან მოგებას ახლა,
 კურდღელი გარბის, სახურავზე მიძრება მაღლა.

შენ ხარ სიკედილი! პოლიციას ხროტინით სძინავს.
 ქურდი გარდისტერ მსუქნ ხელებს ჰელუნის და გმინავს.
 კოცნამ ხელებზე მეწამული დასტოვა დალი.
 ახლა სიზმრები უძრავია. დრო არის ლილი.

შენ ხარ სიცოცხლე—ამორებულ ტალღებით საგსე,
 რომ ხმაურობით გადადიან ტრიტონის თავზე.
 მორგის საწოლზე იშმუშნება ზანტიად ზღვის ღმერთი:
 მწვანე, ტიტველი, ბუმბერაზი და ერთად ერთი.

II დღით.

ხედავ, ზეცაზე ბრწყინვას თუჯის დიდი კართალი.
 სადაც მანანას ჩვენთვის ხარშავს ლიერთი მართალი.
 არის მორწყული სიყვარულით ჩვენი საჭმელი
 და კიდევ ოფლით. საკვებავი დაუხაშელი!

სამარეულოს ეტანება ხალხი მშეერი
 და მედილურათ იხრაჟება ხორცი ხმიერი.
 აშვერენ ჭუურჭლებს აქ ლოთები მეტი წყურვილით,
 მათხოვარს სცივა და მოელის რიგს—დაურვილი.

იქნებ გეონია, რომ ცველასთვის აქ გამზადილი
 არის მზისაგან ეს ბრწყინვალე უხვი საღილი?
 ძალლის ბულიონს ჩვენ მივირთმევთ, ვით მათხოვრები.
 ისინი მზისა და ჩვენ წვემის ვიყოთ მცხოვრები!
 არის სიკედილი ჩვენი მტერი და დამდალველი.
 ჩვენი არსია საფლავამდე—ბუშტი ნაღველით.

თარგმანი ვ. გაფრინდაშვილის.

ტავერნა გზაჯვარედინზე

მოთხოვთ იდან.

თავი 7.

გზაჯვარედინზე ყოველთვის უბერავდა ქარი.

ყველამ, ვინც მიღიოდა ტავერნაში, იცოდა — გზაჯვარედინთან ქუდი უნდა დაემაგრებია, რომ ქარს არ მოეტაცა. ვისაც პარიკი ჰქონდა, ორივე ხელით უნდა მიშველებოდა, რომ მელოტი არ გაემხილა.

საღამოთი აქ იყრიდენ თავს გამოპარული ჯარისკაცები, ქალაქის ავარები, კახები.

ზეირი სტუმარი იყო რაინდი დონ ბილბაოც.

რაინდს ჰქონდა დიდი ცხვირი და მისი დეზები რეკავდა ისეთი შშინდა ხმით, რომ უნდა ყოფილიყო გაკეთებული საუკეთესო ლითონისგან.

ორი ოთახი, სადაც გროვდებოდენ სტუმრები, მალე იკვამლებოდა თამბაჭოთი. ზოგიერთის ჩიბუჟი ისეთ კვამს აღრჩოლებდა, რომ კახების გაჭვარტლული ნესტონებიც ვერ უძლებდა სიმყრალეს.

ტავერნის პატრონი, ორსულ ქალივით გაბერილი პასკვინი, სტუმრების მოსვლის შემდეგ მალე თვრებოდა. მიეგდებოდა დახლის ქვეშ და ხვრინავდა.

ღვინომ, თუ იმ აუცილებლობამ, რომ ყოველ შემოსულს ღიმილით და ტებილი სიტყვით უნდა შეგებებოდა, პასკვინი გახადეს ზედმეტ გულჭეთილათ.

პასკვინს მოვალეობის შესრულება უხდებოდა მის ცოლს დელფინას, რომელიც სიმსუქნისგან ბევრს ვერ დადიოდა და ძუძუები ეკიდა როგორც მეწველი ძროხის ჯიქნები.

დელფინას სიამოვნებით ელაპარაკებოდენ სტუმრები, როცა ის მიუჯდებოდა მათ მაგიდას.

მხოლოდ რაინდ ბილბაოს არ უყვარდა ტავერნის პატრონის ცოლი. მას ყოველთვის ჰქონდა საჭმელების სუნი და ლაპარაკი უყვარდა გრძელი და უაზრო.

— დონა დელფინა, თქვენ ისეთი აღტაცებით შესაუბრებით მყრალ ლორებზე და ბანჯგვლიან ვერძებზე, თითქოს ისინი თქვენი ახლო მეგობრები იყვენ, გაჯავრებით მოუჭრიდა სიტყვას ბილბაო.

ასეთი უზრდელობა სწყინდა დელფინას და მეტი რა გზა ჰქონდა, უნდა გაშორებოდა.

რაინდი ბილბაო ყოველთვის ცილკე დაიკავებდა მაგიდას. ვერც ერთი კახპა ვერ გაბედავდა მასთან მისვლას. იცოდენ ის ელოდა თავისას.

პირველ ოთახიდან, სადაც შემოსასვლელი კარები იყო, უეცრად ისმოდა საერთო შეძახება და კიუინა. მეორე ოთახში უკვე იცოდა, რა იყო ეს.

შეორე ოთახიც იმავე კიუინით ეგებებოდა ტერეზას. მაგრამ კავშირი ტერეზასთან ამით თავდებოდა. რაინდი დონ ბილბაო მხოლოდ ამ დროს მოითხოვდა ღვინოს და ორ სასმისს.

ქალს ჰქონდა პატარა ვარდისფერი ქოლგა და თმებში დიდი სავარცხალი ქვებით მოჭედილი.

აუჩქარებელი ნაბიჯით გაივლიდა მაგიდებს, ურცხვათ, თითქოს განგებ იჩენდა ამას, გაუჭებდნავ ცხენივით მიათამაშებდა თავის დიდ საჯდომს. თხელი ნაქსოვი დაკვროდა ბარძაყებს და მის სათავეს. სხანდა, კუნთები იყვნენ შაგარი და მამაკაცების ხელებს ვერ დაესრისა ისინი. მაგიდებიდან მას თან მიჰყვებოდა სტუმრების ამღვრეული თვალები.

სერგო კლდიაშვილი

ტრისტან კორბილი

ედუარდ იოანიშ კორბიერ, (პსევდონიმით ტრისტანი), შვილი ედუარდ კორბიერის — შორი მგზავრობის კაპიტანის და რამოლენიმე საზღვაო რომანების ავტორის, დაიბადა „მორლე“ — ში 1845 წ. თექვსმეტი წლისამ დასტოვა ლიცეი იმ ავადმყოფობის გამო, რომლისგანაც შემდეგში გარდაიცვალა. ორმა წელიწადმა, რომელიც მან გაატარა როსკონტში მეთევზეთა შორის, გამოაკეთეს მისი ჯანმრთელობა. ის იყო მეზღვაურის შვილი და თაყვანისცემის უყვარდა ზღვა. მამამ აუშენა შლიუჩა და ტრისტანი მუდმი ზღვაში იყო, სძინავდა მხოლოდ გამაკში, ყოველთვის ეწყობოდა როგორც მატროსი.

1873 წ. ტრისტანი ჩამოვარდა პარიზში და თანამშრომლობდა უურნალ „პარიზის ცხოვრებაში“. იმ წელშივე გამოსცა თავისი ერთად ერთი წიგნი „ყვითელი სიყვარულები“

ორი წლის შემდეგ ის გარდაიცვალა მორლეში, 1875 წ. ოცდა ათი წლის, ფილტვების ანთებით.

დიდი ხნის შემდეგ ის აღმოაჩინა პოლ ვერლენმა და მისცა მას ადგილი „დაწყევლილ პოეტებთა“ შორის.

ცნობილია დახასიათება, რომელიც მისცა ლაფორგმა ტრისტან კორბიერს: „ოკეანის ბოვემა. დამცინავი და ცულლუტი. შხამიანი და ლაქონიური. ელექსი მათრახის ქვეშ. მისი კიფილი მჭრელია, როგორც თოლიას ქვნესა. თოლიასავით დაუღალავია. არა აქვს ესთეტიკის ქულტი. არც პოეზია და არც ლექსები, თითქმის არც ლიტერატურა. ვნებიანი, მაგრამ ხორცი მას არა აქვს. წვრილფეხა უულიყი და ბაირონისტი. ყველა პოეტებზე უფრო თავისუფალი პოეტურ ლექსიკონისაგან. პლასტიკურ ინტერესს მისი პოეზია არ წარმოადგენს.“

მთელი მნიშვნელობა, მთელი ეფუძექტი შოლტის მოქნევაში, გრავიროვებაში, კალამბურში, ნახტომებში და რომანტიულ ლაკონიზმში. სურს იყოს გაუგებარი და კლასიციურის გარეშე. არ უნდა არც სიყვარული, არც სიძულვილი. მოკლეთ რომ ესთქვათ უცხოა ყოველ ქვეყნისათვის, უცხოა ჩვეულებათათვის პირინების იქით და აქეთ“.

რემი დე გურმონი ამბობს: „ის იყო დონ უუანი ორიგინალობის. ერთად ერთი ქალი, რომელიც მას უყვარდა, იყო ორიგინალობა. ტრისტან კორბიერი, როგორც ლაფორგი, რომელსაც ჩვენ შეგვიძლია ვუწოდოთ მისი მოწიფე, ექუთვნის იმ ტალანტებს, რომელთა კლასიციურია შეუძლებელია. ლიტერატურის ისტორიაში ისინი არიან ძეირფასი გამონაკლისი, იშვიათი თვით საოცრებათა გალერეებიაში“.

ტრისტან კორბიერი მორის როლლინასთან ერთად ბოდლერის მემკვიდრეა.

როდესაც კითხულობთ მის ლექსს: „დასასრული“, სადაც ის, აღტაცებული, რეკვიემს უმღერის ზღვაში დამხჩალებს, ყოვლად შეუძლებელია არ მოგანდეთ არტურ რემბოს „მთვრალი ხომალი“, რომელიც დაიწერა „დასასრულზე“ გაცილებით უფრო გვიან.

რემბო დაიბადა 1854 წ. 20 ოქტომბერს.

მე მოვიყან „დასასრულიდან“ ნაწყვეტს პროზაულ თარგმანში:

„ზღვისაგან დამარხულნი. დაუკვირდით ამ სიტყვას. ოქვენი სიკედილი ხმელეთზე შეკრთალია. არ არის დიდი საქმე იყო პალუბაზე ქარიშხლის დროს და უცქერდე მატროსს, რომელიც ებრძეის ზღვას. ჩამოდევით! ბებერი, გამოფიტული ფანტომი – სიკედილი იცვლის სახეს: ახლა ის ზღვაა!“

„ისინი არიან არა საუნაინ სამარეში, არა სასაფლაოს ვირთხებს შორის, ისინი ხვდათ აქულებს, მატროსის სული, იმის მაგივრად რომ ასაზრდოვოს კარტოფილი, სუნთქვას ყოველ ტალღაში“.

„ისმინეთ, ისმინეთ წამება, რომელიც ღმუის. ეს მათი წლისთვია! პოეტი! შეინახე შენთვის ბრძა სიმღერები! დალუპულ მეზღვაურთათვის ქარი თავის საყიდით იმბობს de Profundis. ისინი (დამხჩალები) უსაზღვროთ მიექანებიან ქალწულ სივრცეებში, მწვანე და შიშვენლი, თავისუფალნი ლურსმებიდან, ფიჭვის დაფეფიდან, სახურავიდან, სამღლოვიარო სანთლებიდან. ოქვენ, ხმელეთის მოხეტენო, ჩამოდევით, ისეირნონ მეზღვაურებმა თავის ნებაზე“.

საკმაოდ სხანს კორბეირის ირონია მის ლექსში: „ვეზუვის“:

მე შენ კომიკურ აბერაში გნახე, ვუღლკანო,

როლში, რომელიც შენ ოდესმე შექმენ: „პომპეის

უკანასკნელი დღე“. მუსიკა შენს ხანძარს ფლობდა.

შენ გიბერავდენ და იყავი შენ, მხოლოდ, ფეჩი.

შენ ხარ უთუოდ მთა პირველი, ჩემთან მოსული,

შენ სანახავად გამოვდივარ მინდონში განვებ,

შენ კეშმარიტი ხარ ვეზუვი, მაგრამ ნახული,

ო, ის მეორე, უფრო მეტად დასაჭერია!

ბოგეშიელის ფსიხოლოგია კორბიერმა გამოხატა ორ კთუმარულ ლექსში ერთ ტემაზე: „ორი პარიზი“.

პარიზი ღამით საშინელია და საზისხლარია, პარიზი დღით საცოდავია. ამ ორი პარიზის შექმნა შეეძლო მხოლოდ კორბიერს—ჭლექით დაავადებულს. ეს ლექსი თითქმის ბურუჟაზიულ ქალაქის წყევლასავით ისმის, თუმცა ავტორს არ უჭირავს ხელში იუვენალის მათრახი.

დაუკიტყარია მოჩვენება ქალაქის მორგის, საღაც იშმუშნება ზღვის ღმერთი—ტიტველი და მწვანე.

„პარიზი დღით“. ამ ლექსში ისმის მთელი კაცობრიობის ბოგემის გოდება.

თავის „ეპიტაფიაში“ კორბიერმა კარგათ დაახასიათა საკუთარი თავი: „საკვარველი და გარევნილი ნარევი ყოველივესი: მაქვს შეძლება და არა მაქვს ერთი ფარა, თავისუფალი და შეზღუდული; მაქვს გული და უსულო ვარ, ბევრი მეგობრები და არც ერთი ამხანაგი, ბევრი აზრები და არც ერთი იდეია, სიყვარული და არც ერთი საყვარელი, კარგი ოვისებები სჩანან, როგორც ნაკლი, სული ნაყორევანი და გაუმაძლარი, მოვკვდი და ვერ განვიკურნე სიცოცხლისაგან, გამშრალი ტანით და მოვრალი სულით, იმედიანი და მომავლის უარმყოფი, ის მოკვდა, ცხოვრების ლოდინში და სცოცხლობდა სიკვდილის ნატვრაში“.

მისი პეიზაჟი მოწამლულია სპლინით, და გომბეშოების სიმღერით. ეს არის „საზიზლარი პეიზაჟი“.

კორბიერი ცდილობდა სიმახინჯე ექცია სილამაზეთ და მისი ცდა ხშირად გამარჯვებით თავდებოდა.

ვალლოტონის სურათზე კორბიერი—თამოკვეთილი იოანეა.

ქართველ პოეტებში კორბიერსა ჰყავს ორეული, თუ პოეზიით არა, იღბალით და სახით მაინც. ეს არის ჭლექისაგან გარდაცვლილი იროდიონ ევდოშვილი.

ვალერიან გაფრინდაშვილი



საქართველოს სახელმწიფო ელექტრო-განძანის სააღმერო

ტრისტი

ტფილისი, სოლოლაკის ქ. № 2, ტელეფონი 8—20.

„ერგამშერეცი“

უკრაზენი ერევროვნივაციისთვის

სოფლად, ქალაქში, რეინის გზებზე, სამრეწველო წარმოებებში.

პროექტები, ხარჯთ-აღრიცხვა, მოწყობილია, ტეხნიკ ზედამხედველობა.

პონსულ ტაცია

საეცოალურად: გამოკვლევები, პროექტები, პილრო-ელექტრონის სადგურების მოწყობა.

6. 90. 6—4.

მოითხოვთ

ყველგან ნატურალური კახური ღვინოები

კონკრეტული საწოდოება „პანეზია“-ს.

ფირმა 1895 წლიდან არსებობს.

ქალაქის ყველა რესტორანებისა და გასტრონომიულ-ღვინის მაღაზიებში.

ღვინოები

თეთრი „გარდანახი“

— თეთრი „ცარაპი“

წითელი „ქვარელი“
ეგროპ. „ნაფარელი“

მეოლოდი

ტბილი „მ. დერა“
და „პორტვეინი“

პასუნი

გამგეობა და მთავარი საწყობები:

ფილისი, გოგოლის ქ. 63. ტელ. 4—65. 13—23. საწყობები: კახოთი.

განყოფილებები და საკონტაკენტოები ს. ს. რ. კ. დიდ ცენტრში.

ბ ა ზ რ ს ბ ა ნ უ რ ვ ი ლ ე ბ ა: საბითუმო საწყობი: „ტორგოვია“ 10.

ყურადღება

წოდიერთი ფირმები ავტომატურ ადგილობრივ განჯისა და შამხორის ღვინოებს ჩვენი ქა-
ხერი ღვინოების იარღივით, წარწერებით და ეტიკეტით „**Местное нахетинское**“, „**Тип-нахетинское**“ და სხვა. გთხოვთ გახსოვდეთ, რომ კახური ღვინოების უძველესი კონკრეტული
ორგანიზაცია მისი პროდუქტების — კახურ ღვინოების — გასაღების საქმეში ირის კონკრეტული საზ—ება „კახეთი“.



ამინ-კაპ. რეინის-გზათა მოავარი სამართლის

ამით აცხადებს: ამა წლის 6 დეკემბერს, დილის 10 საათზე, თბილისის სალიკვიდაციის საწყობში (გორის ქუჩა, რკინის გზის ფარგლებში) აუქციონზე გაიყიდება ამიერკავკასიის სადგურებზე მოუკითხავი ბარგი და საქონელი

გაუყიდავათ დარჩენილ საქონლის

სისტემა ვაჭრობის

მოხდება იქვე, 8 დეკემბერს

ქვევით ნაჩენებია ნომერი კვიტანციისა, ბარგის თვისება, ნაჭრების რაოდენობა და წონა. დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება ცვილისის სალიკვიდაციის ხადგურზე, ვაჭრობის დღესვე, ვაჭრობის დაწყებამდე

მოუკითხავი ბარგი:

№ 91902—ნაღების ლუსმები 100 ყუთი—109 ფ. 37 გირ. № 91896—ნაღების ლუსმები—100 ყუთი—109 ფ. 37 გირ. № 33923—უქსტი—38 დასტა—9 ფ. 20 გ. № 174803—ჩრდილ. კავკასიური ხორბალი—უტომრებოთ ჩაყრილი—1004 ფ. № 174804—ჩრდილ. კავკასიური ხორბალი—უტომრებოთ ჩაყრილი—1004 ფ. 10 გ. № 174815—ჩრდილ.—კავკასიური-ხორბალი უტომრებოთ ჩაყრილი—1007 ფ. 20 გ. № 174461—ჩრდილ.—კავკასიური ხორბალი—უტომრებოთ ჩაყრილი—1006 ფ. № 75741—ნაძვის ხეები—18 ცალი—915 ფ. № 104720—ნაძვის ფიცრები—1 ვაგ.—995 ფ. № 24635—„ვისევკა”—207 ცალი—888 ფ. № 34299—ნაძვის ფიცრები—1 ვაგ.—580 ფ. № 162081—ნაძვის ფიცრები—1 ვაგ.—405 ფ. № 13606—ახალი კრამიტი—1 ვაგ.—935 ფ. № 13605—ახალი კრამიტი—1 ვაგ.—1000 ც. № 7999—უტომრებოთ ჩაყრილი ქერი—408 ფ. № 48480—ხორბალი—31 ნაჭრათ—169 ფ. 30 გირ. და ქერი 5 ნაჭერი—21 ფ.

ს. მ. უ. ს.

ს. მ. უ. ს.

ლიტონის მანულფილება

მანქანა-გმენებული შერუნაროს მარხანა წყალის სხვა და სხვა სისტემის მზრუნარები

სასოფლო-სამეურნეო იარაღები: სახნისები, უჯრძნის საჭყლეტები, სათესები, სანივებრები, რკინისა და ფოლადის ჭურჭლები, სპავა და სხვა ნასხამობა.

კაილანის ჩამომახვილი მარხანა

სპილენძი ფურცლებათ და მორგვებათ.

ქარსნები და სახელოსნოები

გოგელვერი ნივთები ქალაქისა და სოფლის საჭიროებისათვის, მონტაჟი, დადგმა, სხვა და სხვა საწარმოო ერთეულების ეოველნაირი მოწეობა. ავტომობილების საფუძვლისი შეკეთება.

ინდუსტრი საწოლები: სახტებროებისათვის, საბაჟო, სახლებისათვის და სავადმეოფოებისათვის.

სასწოლები: ახალის, მველის შეკეთება და გადაკეთება.

იუადება და მზადდება ეოველნაირი ლითონი: რკინა, ლურპმანი, მავრული, ხა-აღმძენებლო მასალები.

**დაკვეთა სრულდება სწრატად და კარგად.
ფასები ხელმისაწდომია.**

სახელმწიფო ორგანოებს და კოოპერატივებს ეძლევა შეღავათი ფასის გადახდის დროს.

ჩათახის თუჯის საღნობი და მილების ჩამომსმელი ქარხნა მაღ. ტორთშელიძის სახელობისა. ხარისხი მაღალი. თუჯი მაღნეული, ნატეხებათ. კოძლევით ინალიზის გარანტის.

მილები საწმენდი და წყალსადენის კოველნაირი ზომის და სიმსხოსი.

ტელეფონი 20—53 და 14—51 საბჭოთა ქუჩა, ყოფილი ჩერქეზიშვილის, სახლი №116.

୩୧୬୦ ଟଙ୍କା ୧୯୯୦

ସ୍ତ୍ରୀମଦ୍ଭାଗବତର କମିଶାରିଂକାରୀରେ କ୍ରେଚେଲ୍‌ଲିସ୍ ଫ. ନଂ ୩.

ମତାଗଲିପ୍ତି 2149

ମୁଦ୍ରଣ 1000